




მოსკოვის სასულიერო აკადემია მომავალი სასულიერო პირებისა და საზღვარგარეთის სამრევლოების თანამშრომლებისთვის ინგლისურ ენაზე ონლაინ-სწავლებას ჩაატარებს



სსკვ-ის კომუნიკაციის სამსახური, 23.08.2023. მოსკოვის სასულიერო აკადემიამ ინგლისურენოვან ონლაინ სწავლების პროგრამაზე რეგისტრაციის დაწყება გამოაცხადა. ცხრათვიანი კურსი მოიცავს მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების აკადემიური პროგრამის შვიდ ფუნდამენტურ დისციპლინას, მათ შორისაა ძველი და ახალი აღთქმის წმინდა წერილი, დოგმატური ღვთისმეტყველება, პატროლოგია, მართლმადიდებლური ლიტურგიის საფუძვლები, ეკლესიის ისტორია და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია.

როგორც მსა-ის ვებგვერდი **იუნწყება**, ლექციების კურსი განკუთვნილია მომავალი სასულიერო პირებისა და ეკლესიის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მსახურობენ საზღვარგარეთ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სამრევლოებში და აქვთ უმაღლესი საერო განათლება და საჭირო

თვითგანათლების უნარი, ასევე სხვაენოვანი სრულდენტებისთვისაც, რომლებსაც სურთ ცოდნის მიღება მართლმადიდებლური სარწმუნოების სფეროში.

გაკვეთილების ჩატარება დაგეგმილია ონლაინ რეჟიმში, ამიტომ მსმენელებისთვის აუცილებელია დამოუკიდებლად მომზადების უნარ-ჩვევები. შესწავლასა და კურსის დასრულებაზე დისტანციურად კონტროლს განახორციელებს მასწავლებლების ჯგუფი ონლაინ-კონსულტაციებისა და ტესტების გამოყენებით. სასწავლო წლის ბოლოს ჩატარდება დასკვნითი ონლაინ-გამოცდა, რომელიც შედგება პასუხების რამდენიმე ვარიანტის შემცველი კითხვებისგან, ესე და/ან ზეპირი ნაწილისგან. კურსდამთავრებულებს გადაეცემათ კურსის წარმატებით გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

რეგისტრაციისთვის მიჰყევით ბმულს: <https://encourse.mpda.ru>. დარეგისტრირება შესაძლებელია 26 სექტემბრის 8:00 საათამდე (მოსკოვის დროით).

კურსი მუშაობას დაიწყება 29 სექტემბერს. გაცნობითი ხასიათის ონლაინ-შეხვედრა კურსის ხელმძღვანელებთან გაიმართება 2 ოქტომბერს 16:00 საათზე (მოსკოვის დროით).

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/90651/>